

ზიარების შემდგომი სამადლობელი ლოცვები

*ხოლო ოდეს მიემთხვო კეთილსა ზიარებისა ცხოველს-
მყოფელთა საიდუმლოთა ნიჭთასა, აქებდე მეყსეულად და
ჰმადლობდე ფრიად, და ამას მკურვალითა სულთა იტყოდე
ღმრთისა მიმართ:*

დიდება შენა, ღმერთო, დიდება შენა ღმერთო, დიდება
შენა ღმერთო.

ესრეთ ლოცვად სამადლობელი

გმადლობ შენ, უფალო ღმერთო ჩემო, რამეთუ არა განმაგდე
მე ცოდვილი, არამედ ზიარ-ყოფად მე სიწმიდეთა შენთა
ღირს-მყავ. გმადლობ შენ, რამეთუ მე არა ღირსი ზიარებად
ყოვლადწმიდათა შენთა ზეცისა ნიჭთა ღირს-მყავ. არამედ
მეუფეო კაცთმოყუარეო, ჩუენთვის მომკუდარო და აღდგომილო,
და მომნიჭებელო ჩუენდა საშინელთა ამათ და ცხოველს-
მყოფელთა საიდუმლოთა კეთილისსაქმედ და განსაწმედელად
სულთა და ჳორცთა ჩუენტა, მომეც ყოფად ამისა მეცა
საკურნებელად სულისა და ჳორცთა, განსადევნელად ყოველთა
წინააღმდეგობთა, განსანათლებელად თუალთა გულისა ჩემისათა,
სიმშვედელ სულიერთა ძალთა ჩემთა, სარწმუნოებად
ურცხუნელად, სიყუარულად შეუორგულებელად, აღმავსებელად
სიბრძნითა, დამარხვად მცნებათა შენთა, შეძინებად საღმრთოთა
მადლთა შენთა, შენისა სასუფეველისა თვისებად; რაფთა,
სიწმიდითა შენითა დაცული, მადლსა შენსა მოვიჳსენებდე
მარადის და არავინ თავით თვისით ცხოველ არს, არამედ

შენდამი, მეუფისა ჩემისა და ქუელისმოქმედისა; და ვგრეთ ამის ცხოვრებისაგან განსრული სასოებითა ცხოვრებისა საუკუნოვანად, მარადის-ყოფსა განსუენებასა მივიწიო, სადა არს მედღესასწაულეთა ჳმად დაუსრულებელი და წარუვალი სიტკობაჲ, მათი, რომელნი ჳხედვენ პირისა შენისა სიკეთესა გამოუთქუმელსა. რამეთუ შენ ხარ ჳმმარიტი სასურველი და გამოუთქუმელი სიხარული მოყუარეთა შენთაჲ, ქრისტე ღმერთო ჩუენო, და შენ გიგალობს ყოველი დაბადებული უკუნისამდე. ამინ.

სხუად ლოცვაჲ წმიდისა დიდისა ბასილისი

მეუფეო ქრისტე ღმერთო, მეუფეო საუკუნეთაო და შემოქმედო ყოველთაო, გმადლობ შენ ყოველთათჳს, რომელნი მომცენ მე კეთილნი და ზიარებისათჳს უხრწნელთა და ცხოველსმყოფელთა საიდუმლოთა შენთა. გვედრები უკუე, სახიერო და კაცთმოყუარეო, დამიცევ მე საფარველსა ქუეშე შენსა და სავრილსა ფრთეთა შენთასა, და მომანიჭე მე წმიდითა სწილისითა ვიდრე უკუანაჲსკნელად აღმოფშუნუად ჩემამდე ღირსებით ზიარებად სიწმიდეთა შენთა, მოსატყეველად ცოდვათა და ცხოვრებად საუკუნოდ. რამეთუ შენ ხარ პური ცხოვრებისაჲ, და წყაროჲ სიწმიდისაჲ, და შენდა დიდებასა აღუავლენთ, თანა მამით და სულით წმიდითურთ, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე. ამინ.

ლოცვაჲ სკმონ მეტაფრასისაჲ

მომცემლო საზრდელად ჳორცისა შენისა ნებსით, რომელი ცეცხლ არს და შეწუავს უღირსთა; ნუ დაწუავ მე, შემოქმედო

ჩემო, უფროსდა შემოვედ ასოთა შინა ჩემთა, ყოველთა ნასხამთა, თირკუმელთა და გულსა. დაწუენ ეკალინი ყოველთა შეცოდებათა ჩემთანი, სული განწმიდე, წმიდა-ყვენ საცნობელნი. ნასხამნი დაამტკიცენ ტუალთა თანა ერთბამად. საცნობელნი განმინათლენ ყოველიურთ და შემსჭუალე შიშსა შენსა. მარადის დამიფარე, დამიცევ და დამიმარზე მე ყოველისაგან საქმისა და სიტყვსა სულთა განმკრწნელისა. წმიდა-ჳყავ, განმწმიდე, და განმბანე, განმაშუენე გონიერ-ჳყავ, და განმანათლე მე. გამომაჩინე საყოფელად სულისა შენისა, რამთა სადგურ მისდა ვიქმნე და არა ცოდვისა, რამთა ტაძარსა შენსა, შემოსლვითა ზიარებისამთა, ვითარცა ცეცხლსა განმერიდოს მე ყოველი ძურისმოქმედი და ყოველი ვნებაჲ, სავედრებულად შენდა შევეწირავ ყოველთა განწმედილთა და წესთმთავართა უკორცოთა წინამორბედსა შენსა და ყოვლადბრძენთა მოციქულთა, მათთანა უხრწნელსა, უბიწოსა დედასა შენსა, მათი ვედრებანი შეიწირე, მოწყალეო, ქრისტე ჩემო, და ძე ნათლისა მქმენ მსახური შენი, რამეთუ შენ ხარ განმწმედელი და მხოლოჲ სახიერი, და სულთა ჩუენთა განმანათლებელი, და შენდა ვითარცა ჳშუენის, ღმრთისა და მეუფისა, დიდებასა აღუავლენთ ყოველნი ყოველსა დღესა.

სხუად ლოცვაჲ

ჳორცი შენი წმიდაჲ, უფალო იესო ქრისტე, ღმერთო ჩუენო, მექმენინ მე ცხოვრებად საუკუნოდ და სისხლი შენი პატიოსანი მოსატყეველად ცოდვათა, ზოლო მეყავნ მე სამადლობელი ესე სიხარულად, სიძრთელედ და მხიარულებად;

და საშინელსა მეორედ მოსლვასა შენსა ღირს-მყავ მე ცოდვილი დადგომად მარჯუენით ღიდეზისა შენისა, მეოხებითა ყოვლადუხრწნელისა დედისა შენისათა და ყოველთა წმიდათათა.

*სხუამ ლოცვამ
ყოვლადწმიდისა ღმრთისმშობელისამ*

ყოვლადწმიდაო დედუფალო ღმრთისმშობელო, ნათელო დაბნელებულისა სულისა ჩემისაო, სასოებაო, საფარველო, შესავდრებელო, ნუგეშინსმცემელო, სისარულო ჩემო, გმადლობ შენ, რამეთუ ღირს-მყავ მე არა ღირსი, ზიარყოფად უხრწნელისა კორციისა და პატიოსნისა სისხლისა ძისა შენისასა. არამედ, მშობელო ჭეშმარიტისა ნათლისაო, განანათლენ საცნაურნი თუალნი გულისა ჩემისანი; რომელმან ჰმევე წყაროჲ უკუდავებისამ, ცხოველ-მყავ მე, მოძუდარი ცოდვითა; წყალობის მოყუარეო მოწყალისა ღმრთისა დედაო, შემიწყალე მე და მოეც ღმობიერებაჲ და შემუსრვილებჲა გულსა ჩემსა, და სიმდაბლჳ ზრახვათა ჩემთაჲ, დაჴსნა ტყუეობისაგან გულისსიტყუათა ჩემთასა; და ღირს-მყავ მე, ვიდრე უკუანამსჯელ აღმოფშენვამდე, დაუსჯელად მიღებად ყოვლადწმიდათა საიდუმლოთა, განსაწმედელად, საკურნებელად სულისა და კორციისა. და მომმადლენ მე ცრემლნი სინანულისა და აღსარებისანი, გალობად და დიდებად შენდა ყოველთა დღეთა ცხოვრებისა ჩემისათა, რამეთუ კურთხეულ ხარ და დიდებულ უკუნისამდე. ამინ.

ღირს არს ჭეშმარიტად, რამთა გადიდებდეთ, შენ ღმრთისმშობელო, რომელი მარადის სანატრელ იქმენ

მე
ა
გ
ღმრ
მშვე
შენი
ო
ლო,
ბ
ა
ელ,
რნი
მ
ს
და
ან
ელ
ა
ა
და
მარ
გ
შენ
ნ

ყოვლადუბიწოდ და დედად ღმრთისა ჩუენისა. უპატიოსნესსა ქერუბიმთასა და აღმატებით უზესთაესსა სერაფიმთასა, განუხრწნელად მშობელსა სიტყვსა ღმრთისასა, მხოლოსა ღმრთისმშობელსა გალობით გადიდებდეთ.

აწ განუტევე* მონაჲ შენი, მეუფეო, სიტყვსაებრ შენისა მშვლობით, რამეთუ იხილეს თუალთა ჩემთა მაცხოვარებაჲ შენი, რომელ განუმზადე წინაშე პირსა ყოვლისა ერისა, ნათელი გამობრწყინებად წარმართთა ზედა და დიდებად ერისა შენისა ისრაცლისა.

წმიდაო ღმერთო, წმიდაო ძლიერო, წმიდაო უკუდაო, შეგკწყალენ ჩუენ (3-ჯერ).

დიდებაჲ მამასა და ძესა და წმიდასა სულსა, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

ყოვლად წმიდაო სამებაო, შეგკწყალენ ჩუენ; უფალო, გჳკჳნ და გჳლზინე ცოდვათა ჩუენთაგან; მეუფეო, შეგუნდე უშჯულოებანი ჩუენნი; წმიდაო მოიხილე და განკურნენ უძღურებანი ჩუენნი, სახელისა შენისათჳს.

უფალო, შეგკწყალენ (3-ჯერ).

დიდებაჲ მამასა და ძესა და წმიდასა სულსა, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

* „აწ განუტევე“ არ იკითხება ბრწყინვალე შუდეულის (ე.ი. აღდგომიდან ერთი კვირის) განმავლობაში. მის ნაცვლად იკითხება ტროპარი „ქრისტე აღსდგა მკვდრეთით“.

მამაო ჩუენო, რომელი ხარ ცათა შინა, წმიდა იყავნ
სახელი შენი; მოვედინ სუფევად შენი, იყავნ ნებად შენი,
ვითარცა ცათა შინა, ეგრეცა ქუეყანასა ზედა; პური ჩუენი
არსობისად მომეც ჩუენ დღეს; და მომიტევენ ჩუენ თანანა-
დებნი ჩუენნი, ვითარცა ჩუენ მიუტევეთ თანამდებთა მათ
ჩუენთა; და ნუ შემიყვანებ ჩუენ განსაცდელსა, არამედ მიკსნენ
ჩუენ ბოროტისაგან. ამინ.

*უკუეთუ არს ლიტურდიაჲ იოანე ოქროპირისად,
ითქმის ტროპარი და კონდაკი იოანე ოქროპირისად,*

ტროპარი, ჳამ 8.

პირისა შენისა მადლი, ვითარცა ოქროჲ, გამობრწყინდა
და სოფელი განანათლა, უპოვარებისა საუნჯენი სოფელსა
შინა განამრავლნა და სიმაღლეს სიმდაბლისად გვჩუენა ჩუენ,
არამედ ვითარცა იგი სიტყუთა შენითა განმსწავლენ, ეგრეთვე
სიტყუასა, ქრისტესა ღმერთსა, ევედრე, მამაო იოანე ოქროპირო,
შეწყალებად სულთა ჩუენთათუს.

დიდებაჲ მამასა და ძესა და წმიდასა სულსა.

კონდაკი, ჳამ 6.

ზუცით მოიღე საღმთოჲ მადლი და ბაგითა შენითა
ყოველთა ასწავე თაყუანისცემაჲ სამებისა მხოლოდსა ღმრთისად,
იოანე ოქროპირო, ყოვლადსანატრელო, ღირსო, ღირსად გაქებთ
შენ, რამეთუ ხარ მოძღუარი, ვითარცა საღმთოჲ გამოჩინებული.

აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

*უკუეთუ არს ლიტურდიაჲ ბასილი დიდისად,
ითქმის ტროპარი და კონდაკი ბასილი დიდისად.*

ტროპარი, ჳამ 1.

ყოველსა ქუეყანასა განჰკლა ჳამა შენი, რომელმანცა
შეიწყანარა სიტყუად შენი, რომლითა ღმრთივეშუენიერად ჰქადაგე
სარწმუნოებად, ბუნებანი დაბადებულთანი გამოაცხადენ, წესნი
კაცთანი განაბრწყინენ, და სამეუფოჲ იგი მღუდელობად
განაშუენე წმიდაო მღუდელითაგარო ბასილი, ევედრე ქრისტესა
ღმერთსა, შეწყალებად სულთა ჩუენთათუს.

დიდებაჲ მამასა და ძესა და წმიდასა სულსა.

კონდაკი, ჳამ 4.

გამოსწინდი შეუძრველად სიმტკიცედ ქრისტესს ეკლესიისა
და მიანიჭებ ყოველთა კაცთა მადლთა საღმრთოთა, რამეთუ
განჰვიინენ სწავლანი საღმრთონი ყოველსა ქუეყანასა ზედა
და ჰბრწყინავ ზეცათა შინა, ყოვლადპატიოსანო მნათობო
სოფლისაო, ღირსო ბასილი.

აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე ამინ.

*და უკუეთუ არს ლიტურდიაჲ პირველ
შეწირულისად, სთქუ ესე ტროპარი და კონდაკი
წმიდისა გრიგოლი დიოლოლოსისად:*

ტროპარი, ჳამ 4.

რომელმან ღმრთისა მიერ ზეგარდმო საღმრთოჲ მადლი
მოიღე, დიდებულო გრიგოლი, და მის ძლით განძლიერდი, და

სახარებისაებრ სლვად თავს-იდევე, ვინამცა ქრისტე მსგან შესაძინელი მას შინა ჰპოვე, ყოვლადნეტარო, რომელსაცა ევედრე რამთა აცხოვნნეს სულნი ჩუენნი.

დიდება მამასა და ძესა და წმიდასა სულსა.

კონდაკი, კმად 3.

წინამწარ მთავრობად გამოსჩნდი მწყემსმთავრად, განმაწესებულ ქრისტეს სამწყსომსა, მამაო გრიგოლი, და შეჰზღუდე მოძღურებითა ზეციერთა, და მსგავსად მმარხველთა გამოაჩინე მირითგან, და სახითა ასწავენ სამწყსოსა ქრისტესსა მცნებანი მისნი, აწ მათ თანა იხარებ, და იშუებ ზეცათა შინა.

აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე ამინ.

შესრულებული ლიტურგიის შესაბამისი ტროპარ-კონდაკის წაკითხვის შემდეგ ვიტყვით:

სასოი და შესავედრებულო ქრისტე იანეთაო ურცხუნელო, შუამდგომელო და მბაძებელისა მიმართ მითუალულო და შეწყნარებულო, ნუ უგულვებელს-ჰყოფ კმასა ცოდვილთა ვედრებისასა, არამედ ისწრაფე შეწევნად ჩუენდა, ვითარცა სახიერ ხარ, რომელნი ესე სარწმუნოებით გიღალაღებთ, მხოლოო კურთხეულო, და მოსწრაფე იქმენ ვედრებად, და განზადებულ მეოხებად, და ღმობიერ კელის-ამპყრობელ, რომელი ევე მარადის იღუწი პატივისმცემელთა შენთა, ღმრთისმშობელო.

უფალო, შვეკწყალენ (12-გ ზის).

დიდება მამასა და ძესა და წმიდასა სულსა აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე. ამინ.

უპატოსნესსა ქერუბიმთასა და აღმატებით უზესთაესსა სერაფიმთასა, განუზრწნელად მშობელსა სიტყვსა ღმრთისასა, მხოლოსა ღმრთისმშობელსა გალობით გადიდებდეთ.

დიდება მამასა და ძესა და წმიდასა სულსა აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე. ამინ.

უფალო შვეკწყალენ (3-გ ზის).

მეუფეო ზეცათაო, გუაკურთხენ.